ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა # 15-0610/01
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(CPV 34300000)

ქ. თბილისი

06 ოქტომბერი 2015

ერთის მხრივ, შპს ,,თეგეტა მოტორსი'' (შემდგომში – „შემსრულებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, თემურ კოხოძის სახით, და მეორეს მხრივ, შპს მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია (შემდგომში – „დამკვეთი"), მისი დირექტორის გიორგი ღუღუნიშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ,,შემსრულებელი'' კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს დამკვეთის კუთვნილ ავტომანქანაზე (HYUNDAI santafe სახ. ნომ. QHQ 818; KIA sorento სახ. ნომ. QGQ 949; MITSUBISHI L 200 სახ. ნომ. VDV 249) ავტოტექმომსახურების გაწევა და სათადარიგო ნაწილების მიწოდება (uhკლასიფიკატორის, კლასიფიკატორის კოდი CPV 34300000), ხოლო „დამკვეთი" კისრულობს ვალდებულებას აანაზღაუროს გაწეული მომსახურების და მიწოდებული საქონლის ღირებულება სრულად.

1.2. საქონლის მიწოდება/მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1163 (ათასასსამოცდასამი) ლარს.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება შეიძლება შეიცვალოს დამკვეთის საჭიროებიდან გამომდინარე, ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მითითებული ღირებულების ფარგლებში.

2.2. გასაწევი ავტოტექმომსახურების და მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეიცავს ,,შემსრულებლის'' ყველა ხარჯს, მათ შორის საქონლის და მომსახურების ღირებულებას, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, სახდელს, მოსაკრებელს, ბაჟს, მათ შორის დღგ–ს.

3. ანგარიშსწორება

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა, „შემსრულებლის" მიერ მიწოდებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

4.1. „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს „დამკვეთისათვის" ავტოტექმომსახურების გაწევა/საქონლის მიწოდება 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

4.2. „დამკვეთი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „შემსრულებელს"' გაწეული ავტოტექმომსახურების/მიწოდებული საქონლის სრული ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულების მე–3–ე მუხლით დადგენილი პირობებით და ვადაში.

5. გარანტიები

5.1. „შემსრულებელი“ გასცემს გარანტიას შეცვლილ სათადარიგო ნაწილებზე და მომსახურებაზე 6 (ექვსი) თვის ვადით (გარდა ცვეთადი ნაწილებისა).

5.2. თუ საგარანტიო პერიოდში ნაწილი ან/და მომსახურება აღმოჩნდება დეფექტის მქონე, „შემსრულებელი“ ვალდებულია „დამკვეთისაგან“ აღნიშნულის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში განიხილოს (დააკმაყოფილოს ან განაცხადოს მოტივირებული უარი) „დამკვეთის“ შეტყობინება და გამოასწოროს დეფექტი.

## 6. მიღება – ჩაბარების წესი

6.1. ავტოტექმომსახურების/საქონლის მიღება დასტურდება საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურით. ასევე, „დამკვეთის“ მოთხოვნის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტით, რომელიც ადასტურებს ავტოტექმომსახურების/საქონლის მიწოდების განხორციელებას.

## 7. ხარისხი

7.1 . ავტოტექმომსახურება/საქონელი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

## 8. ხელშეკრულების შეწყვეტა და მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად გამოწვეული ზიანი.

## 9. ფორს – მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს 10 კალენდარული დღის ვადაში, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
10.2. თუ, ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 იანვრამდე.
11.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარესთან.

## 12. მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსრულებელი:**
შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ. N5
სს. ,,თიბისი ბანკი''
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE80TB0600000024467853

თემურ კოხოძე
გენერალური დირექტორი

**დამკვეთი:**
შპს მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია
საიდენტიფიკაციო კოდი: 404904458
ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის N6

გიორგი ღუღუნიშვილი
დირექტორი

# მიღება ჩაბარების აქტი № 420641808

| | |
|---|---|
| შემსრულებელი ობიექტი | |
| ცენტრალური-მსუბუქი | |
| თარიღი: | 06.10.2015 |

შპს მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია-ის ( 404904458 ) წარმომადგენელმა მივიღე, ხოლო შპს "თეგეტა მოტორსი" -ის (202177205) წარმომადგენელმა ჩავაბარე 463.00 ლარის ღირებულების ავტოტექმომსახურება რომელზეც გაიხარჯა ქვემოთ მოცემული საქონელი:

| | |
|---|---|
| ტექნიკის მოდელი: | MITSUBISHI L200 |
| სახელმწიფო ნომერი: | VDV349 |

| | |
|---|---|
| გარბენი | 109155 კმ |
| VIN | MMBJNKB40BD021473 |

| № | გაწეული მომსახურება | თანხა | № | გახარჯული სათ ნაწილები | რაოდ | განზ | ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წინა სამუხრუჭო დისკის მ/დ | 40.00 | 1 | სამუხრუჭე დისკი წინა MMC L200 2006-> | 2 | ც | 141.00 | 282.00 |
| 2 | წინა სამუხრუჭო ხუნდების მ/დ | 15.00 | 2 | სამუხრუჭე ხუნდი წინა MMC L200 | 1 | ც | 126.00 | 126.00 |
| | ჯამი: | 55.00 | | | | | ჯამი: | 408.00 |

| № | ხარჯთა ჩამონათვალი | თანხა |
|---|---|---|
| 1 | გახარჯული სათადარიგო ნაწილები | 408.00 |
| 2 | გაწეული მომსახურება | 55.00 |
| | ჯამი | 463.00 |

შპს მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია-ის წარმომადგენელი

შპს "თეგეტა მოტორსი"-ის წარმომადგენელი

მძღოლი

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია
საქართველოს
ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის

# საგადასახადო ანგარიშფაქტურა

გადაგზავნილი

| 1 | ეა-07 0084496 |
|---|---|

| 3 | ოქტომბერი | 2015 |
|---|---|---|

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

| 4 | 06 | ოქტომბერი | 2015 |
|---|---|---|---|

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

| 5.1 | 2 | 0 | 2 | 1 | 7 | 7 | 2 | 0 | 5 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 5.2 | შპს თეგეტა მოტორსი |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

| 6.1 | 4 | 0 | 4 | 9 | 0 | 4 | 4 | 5 | 8 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 6.2 | შპს მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
| ავტოტექმომსახურება | მომსახურება | | 463,00 | 70,63 | |
| | | სულ | 463,00 | 70,63 | |

საქონლის ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა ____________________ ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა ____________________ ბ.ა.